

**საქართველოს თავდაცვის მინისტრის  
ბრძანება N MOD 5 17 00000986  
2017 წლის 13 დეკემბერი ქ.თბილისი**

**ოფიცერთა სამხედრო განათლების კონცეფციის დამტკიცების  
შესახებ**

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“  
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 დეკემბრის №580 დადგენილებით  
დამტკიცებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-4  
პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე,  
ბრძანება N MOD 4 19 00000352 06.06.2019 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :**

1. დამტკიცდეს თანდართული „ოფიცერთა სამხედრო განათლების კონცეფცია“.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ოფიცერთა სამხედრო განათლების კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2014 წლის 08 მაისის N MOD 8 14 00000595 ბრძანება.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მინისტრი

ლევან იზორია

## ოფიცერთა სამხედრო განათლების კონცეფცია

### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს თავდაცვის ძალების განვითარება მოითხოვს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (შემდეგში - სამინისტრო) სისტემაში ოფიცერთა სამხედრო განათლების თანამედროვე სისტემის შექმნას.

2. ოფიცერთა სამხედრო განათლება საქართველოს თავდაცვის ძალების მშენებლობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს და იგი ეფუძნება სწავლების საფეხურებრივ სისტემას, საწყისი სამხედრო განათლებიდან უმაღლესი სამხედრო განათლების ჩათვლით.

3. სამხედრო განათლების სისტემა მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესში უწყვეტი სწავლების საფეხურებრივი პრინციპით და მოიცავს ოფიცერთა საწყის, ძირითად, შუალედურ და უმაღლეს სამხედრო განათლებას. საქართველოს სამხედრო-საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამხედრო განათლების მიღება შესაძლებელია სწავლების დასრულებული ფორმით. ოფიცრის სამხედრო განათლების მიღება დასტურდება მინიჭებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტით, რაც მოწმობს გარკვეული საგანმანათლებლო დონის მიღწევას.

4. წინამდებარე კონცეფცია განსაზღვრავს და არეგულირებს ოფიცერთა სამხედრო განათლების საგანმანათლებლო ციკლის თანმიმდევრობას და ეფუძნება „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“, „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონებს, საქართველოს თავდაცვის მინისტრის ხედვას, საქართველოს თავდაცვის ძალების განათლებისა და საბრძოლო მომზადების კონცეფციას და სტრატეგიას.

*ბრძანება N MOD 4 19 00000352 06.06.2019 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;*

### მუხლი 2. ოფიცერთა სამხედრო განათლების მიზნები

ოფიცერთა სამხედრო განათლების მიზნებია:

ა) საქართველოს თავდაცვის ძალებში უმაღლესი განათლების მქონე, სამხედრო საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული, სამეთაურო და სამტაბო უნარ-ჩვევების მქონე საკონტრაქტო (პროფესიული), კადრის და რეზერვის ოფიცერთა მომზადება;

ბ) სამხედრო-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების ჩამოყალიბება, თავდაცვის ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა, სამხედრო განათლების ხელმისაწვდომობა.

*ბრძანება N MOD 4 19 00000352 06.06.2019 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;*

### მუხლი 3. ოფიცერთა სამხედრო განათლების პრინციპები

საქართველოს თავდაცვის ძალებში ოფიცერთა სამხედრო განათლების ძირითადი პრინციპებია:

ა) საგანმანათლებლო სივრცეში ერთიანობა;

ბ) თანამიმდევრობა და უწყვეტობა;

გ) სამართლიანობა, ობიექტურობა და გამჭვირვალობა;

- დ) პროფესიული, ზნეობრივი და ფიზიკური აღზრდის შერწყმა;
- ე) საერთაშორისო სამხედრო საგანმანათლებლო სტანდარტებთან თავსებადობა.

*ბრძანება N MOD 4 19 00000352 06.06.2019 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;*

#### **მუხლი 4. თავდაცვის სისტემაში ოფიცერთა სამხედრო განათლების მოთხოვნები**

ოფიცერთა სამხედრო განათლების მოთხოვნებია:

- ა) სამხედრო და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფა;
- ბ) სამხედრო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და სამხედრო საგანმანათლებლო ერთეულებში საქმიანობის ობიექტური შეფასება;
- გ) საზღვარგარეთ გაცემული სამხედრო განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტების თავსებადობის დასადგენად კრიტერიუმების განსაზღვრა.

#### **მუხლი 5. სამხედრო განათლების სისტემის ამოცანებია:**

სამხედრო განათლების სისტემის ამოცანებია:

- ა) სამხედრო სააღრიცხვო სპეციალობათა შესაბამისად ოფიცერთა მომზადება;
- ბ) სამინისტროს სისტემაში ოფიცერთა მომზადება პარტნიორ ქვეყნებში სამხედრო განათლებისა და წვრთნის პროგრამებით;
- გ) ოფიცერთა კადრების კვალიფიკაციის ამაღლება.

#### **მუხლი 6. სამინისტროს სისტემაში ოფიცერთა საფეხურებრივი განათლების სისტემა**

სამხედრო განათლების სისტემის დონეებია:

- ა) ოფიცერთა საწყისი სამხედრო განათლება (ტაქტიკური დონე), რომელიც მოიცავს:
  - ა.ა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „თავისუფალ კომპონენტს“ - საერთო საჯარისო მართვის პროგრამას;
  - ა.ბ) უმცროს ოფიცერთა საკანდიდატო მომზადების პროგრამას;
  - ა.გ) რეზერვის უმცროს ოფიცერთა მომზადების პროგრამას;
- ბ) უმცროს ოფიცერთა ძირითადი სამხედრო განათლება (ტაქტიკური დონე), რომელიც მოიცავს:
  - ბ.ა) უმცროს ოფიცერთა მომზადების ძირითადი პროგრამას (I საფეხური);
  - ბ.ბ) კაპიტნის საკარიერო მომზადების პროგრამას (II საფეხური);
- გ) ოფიცერთა შუალედური სამხედრო განათლება (ტაქტიკურ-ოპერატიული დონე), რომელიც მოიცავს სამეთაურო საშტაბო პროგრამას;
- დ) ოფიცერთა უმაღლესი სამხედრო განათლება (სტრატეგიული დონე), რომელიც მოიცავს თავდაცვის უმაღლეს პროგრამას.

**შენიშვნა:** საშტატო-თანამდებობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე, ოფიცერი შესაძლებელია წარგზავნილ იქნეს ვიწრო სპეციალობის/კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე.

## **მუხლი 7. ოფიცერთა საწყისი სამხედრო განათლება (ტაქტიკური დონე)**

**1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „თავისუფალი კომპონენტი“ – საერთო საჯარისო მართვა:**

ა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „თავისუფალი კომპონენტი“ - საერთო საჯარისო მართვის პროგრამის ზოგადი მიმოხილვა: სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვისაკადემია (შემდეგში - აკადემია) წარმოადგენს სამხედრო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, იგი უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის და საწყისი სამხედრო განათლების მიღებას. აკადემიის დამთავრების შემდეგ იუნკერებს ეძლევათ მინიჭებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი და მიენიჭებათ ოფიცრის პირველადი სამხედრო წოდება - „ლეიტენანტი“. ისინი სწავლას გააგრძელებენ ოფიცრის ძირითადი სამხედრო განათლების უმცროს ოფიცერთა მომზადების პროგრამის პირველ საფეხურზე. პროგრამის დამთავრების შემდეგ ოფიცერი ვალდებულია კონტრაქტით გათვალისწინებული ვადით იმსახუროს საქართველოს თავდაცვის ძალებში უმცროსი ოფიცრის თანამდებობაზე;

ბ) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „თავისუფალი კომპონენტი“ – საერთო საჯარისო მართვის პროგრამის მიზანია - საქართველოს თავდაცვის ძალებს მოუმზადოს სამეთაურო უნარ-ჩვევების მქონე ოფიცრები (ლეიტენანტი), რომლებსაც ეცოდინებათ საერთო-საჯარისო მართვის საფუძვლები და შეძლებენ სამხედრო განათლების სისტემის შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელებას;

გ) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „თავისუფალი კომპონენტი“ – საერთო საჯარისო მართვის პროგრამაზე მიიღებიან - სრული ზოგადი განათლების მქონე აბიტურიენტები, რომლებიც დარეგისტრირდებიან სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში, ჩააბარებენ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ გამოცდებს, გაივლიან შიდა შესარჩევ ტურს აკადემიაში, რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე ჩაირიცხებიან აკადემიის იუნკერებად და ამავდროულად გაწვეული იქნებიან საკონტრაქტო (პროფესიულ) სამხედრო სამსახურში.

**2. უმცროს ოფიცერთა საკანდიდატო მომზადების პროგრამა:**

ა) უმცროს ოფიცერთა საკანდიდატო მომზადების პროგრამის ზოგადი მიმოხილვა: უმცროს ოფიცერთა საკანდიდატო მომზადების პროგრამაზე მიღებულ სამხედრო მოსამსახურეებს და სამოქალაქო პირებს პროგრამის დამთავრების შემდეგ მიენიჭებათ ოფიცრის პირველადი სამხედრო წოდება - „ლეიტენანტი“. ისინი სწავლას გააგრძელებენ ოფიცრის ძირითადი სამხედრო განათლების, უმცროს ოფიცერთა მომზადების პროგრამაზე (პირველი საფეხური). პროგრამის დამთავრების შემდეგ ოფიცერი ვალდებულია კონტრაქტით გათვალისწინებული ვადით იმსახუროს საქართველოს თავდაცვის ძალებში უმცროსი ოფიცრის თანამდებობაზე;

ბ) უმცროს ოფიცერთა საკანდიდატო მომზადების პროგრამის მიზანი - საქართველოს თავდაცვის ძალებს მოუმზადოს სამეთაურო უნარ-ჩვევების მქონე ოფიცრები (ლეიტენანტი), რომლებსაც ეცოდინებათ საერთო-საჯარისო მართვის საფუძვლები და შეძლებენ სწავლის გაგრძელებას ოფიცერთა სამხედრო განათლების შემდეგ საფეხურზე;

გ) უმცროს ოფიცერთა საკანდიდატო მომზადების პროგრამაზე მიიღებიან - უმაღლესი განათლების მქონე: სამოქალაქო პირები და საკონტრაქტო (პროფესიულ) სამხედრო სამსახურში მყოფი სამხედრო მოსამსახურეები - რიგითები, კაპრალეები და სერჟანტები, რომლებიც გაივლიან შესარჩევ ტურს.

**შენიშვნა:** პროგრამაზე ჩარიცხვის დამატებითი მოთხოვნები და პირობები რეგულირდება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

### **3. რეზერვის უმცროს ოფიცერთა (ლეიტენანტი) მომზადების პროგრამა**

**ა) რეზერვის უმცროს ოფიცერთა (ლეიტენანტი) მომზადების პროგრამის ზოგადი მიმოხილვა:** რეზერვის უმცროს ოფიცერთა პროგრამა წარმოადგენს საწყისი სამხედრო განათლების საფეხურს და რეზერვის ოფიცერთა მომზადების ძირითად საფუძველს. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების შემდგომ სამინისტრო ავტორიზებული სამოქალაქო საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მოახდენს სტუდენტების ნებაყოფლობით რეკრუტირებას. იუნკერები/მსმენელები სამხედრო განათლების პარალელურად აგრძელებენ სამოქალაქო განათლების მიღებას უმაღლეს სასწავლებლებში. პროგრამის დამთავრების შემდეგ ეძლევათ სამხედრო განათლების დიპლომი და მიენიჭებათ ოფიცრის პირველადი სამხედრო წოდება „ლეიტენანტი“. ისინი სწავლას გააგრძელებენ ოფიცრის ძირითადი სამხედრო განათლების უმცროს ოფიცერთა მომზადების პროგრამაზე (პირველ საფეხურზე). პროგრამის დამთავრების შემდეგ ოფიცერი ვალდებულია კონტრაქტით გათვალისწინებული ვადით იმსახუროს საქართველოს თავდაცვის ძალებში უმცროსი ოფიცრის თანამდებობაზე. სამსახურის სავალდებულო ვადის ამოწურვის შემდეგ, მას საშუალება ეძლევა გააგრძელოს სამხედრო სამსახური ან დათხოვნილ იქნეს და ჩარიცხოს რეზერვის შემადგენლობაში;

**ბ) რეზერვის უმცროს ოფიცერთა (ლეიტენანტი) მომზადების პროგრამის მიზანი -** საქართველოს თავდაცვის ძალებს მოუზადოს სამეთაურო უნარ-ჩვევების მქონე ოფიცრები (ლეიტენანტი), რომლებსაც ეცოდინებათ საერთო-საჯარისო მართვის საფუძვლები და შეძლებენ სამხედრო განათლების სისტემის შესაბამის დონეზე სწავლის გაგრძელებას;

**გ) რეზერვის უმცროს ოფიცერთა (ლეიტენანტი) მომზადების პროგრამაზე მიიღებიან -** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც გაივლიან შესარჩევ ტურს.

**შენიშვნა:** პროგრამაზე ჩარიცხვის დამატებითი მოთხოვნები და პირობები რეგულირდება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

*ბრძანება N MOD 4 19 00000352 06.06.2019 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;*

### **მუხლი 8. უმცროს ოფიცერთა ძირითადი სამხედრო განათლება (ტაქტიკური დონე)**

#### **1. უმცროს ოფიცერთა მომზადების ძირითადი პროგრამა (I საფეხური)**

**ა) უმცროს ოფიცერთა მომზადების ძირითადი პროგრამის (I საფეხური) ზოგადი მიმოხილვა:** სამხედრო მოსამსახურეები, რომლებსაც მიენიჭებათ ოფიცრის პირველადი სამხედრო წოდება, შემდგომში გაივლიან საქართველოს თავდაცვის ძალების გვარეობების მიხედვით, უმცროს ოფიცერთა მომზადების შესაბამის პროგრამას. სწავლის დამთავრების შემდეგ ოფიცრებს ეძლევათ ძირითადი სამხედრო განათლების დიპლომი და ენიჭებათ სამხედრო სააღრიცხვო სპეციალობის კოდი. პროგრამის დამთავრების შემდეგ ოფიცერი ვალდებულია კონტრაქტით გათვალისწინებული ვადით იმსახუროს საქართველოს თავდაცვის ძალებში უმცროსი ოფიცრის შესაბამის ან მასთან გათანაბრებულ თანამდებობაზე;

**ბ) უმცროს ოფიცერთა მომზადების ძირითადი პროგრამის (I საფეხური) მიზანი -** საქართველოს თავდაცვის ძალებს მოუზადოს თანამედროვე, მაღალკვალიფიციური, სამხედრო სააღრიცხვო

სპეციალობების შესაბამისი ტაქტიკურ-ტექნიკური და სამეთაურო უნარ-ჩვევების მქონე ოცეულის მეთაურები;

**გ) უმცროს ოფიცერთა მომზადების ძირითად პროგრამაზე (I საფეხური) მიიღებიან** - აკადემიის საბაკალავრო, უმცროს ოფიცერთა საკანდიდატო და რეზერვის ოფიცერთა მომზადების პროგრამის კურსდამთავრებული სამხედრო მოსამსახურეები, აგრეთვე ოფიცრები ლეიტენანტის და უფროსი ლეიტენანტის სამხედრო წოდებით, რომლებსაც საზღვარგარეთ დამთავრებული აქვთ ოფიცრის საწყისი სამხედრო განათლების შესაბამისი პროგრამა.

**შენიშვნა:** პროგრამაზე ჩარიცხვის დამატებითი მოთხოვნები და პირობები რეგულირდება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

## **2. კაპიტნის საკარიერო მომზადების პროგრამა (II საფეხური)**

**ა) კაპიტნის საკარიერო მომზადების პროგრამის (II საფეხური) ზოგადი მიმოხილვა:**

კაპიტნის საკარიერო პროგრამა წარმოადგენს ოფიცერთა ძირითადი სამხედრო განათლების მეორე საფეხურს. იგი უზრუნველყოფს ოფიცრებისთვის ტაქტიკური დონის მეორე საფეხურის სამხედრო განათლების მიღებას, რომელთაც შეეძლება: ასეულის, მასთან გათანაბრებული ქვედანაყოფის მართვა; ბატალიონის, ბრიგადის და მასთან გათანაბრებული ქვედანაყოფების შტაბებში კაპიტნის და მაიორის თანამდებობებზე ფუნქციონალური მოვალეობების შესრულება.

**ბ) კაპიტნის საკარიერო მომზადების პროგრამის (II საფეხური) მიზანია** - ასეულის მეთაურთა, ბატალიონის და ბრიგადის შტაბის ოფიცრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ტაქტიკურ დონეზე საბრძოლო მომზადების, საბრძოლო მოქმედებების და ბრძოლის უზრუნველყოფის დაგეგმვას, სამეთაურო უნარ-ჩვევების გამომუშავებას და პრაქტიკულ გამოყენებას;

**გ) კაპიტნის საკარიერო მომზადების პროგრამაზე (II საფეხური) მიიღებიან** - სამხედრო მოსამსახურეები უფროსი ლეიტენანტის, კაპიტნის, მაიორის სამხედრო წოდებით, რომლებსაც დამთავრებული აქვთ ოფიცერთა ძირითადი სამხედრო განათლების (ტაქტიკური დონე) I საფეხური, უმცროს ოფიცერთა მომზადების ძირითადი პროგრამა.

**შენიშვნა:** პროგრამაზე ჩარიცხვის დამატებითი მოთხოვნები და პირობები რეგულირდება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

*ბრძანება N MOD 4 19 0000352 06.06.2019 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;*

## **მუხლი 9. ოფიცერთა შუალედური სამხედრო განათლება (ტაქტიკურ-ოპერატიული დონე)**

### **სამეთაურო საშტაბო პროგრამა**

**ა) სამეთაურო საშტაბო პროგრამის ზოგადი მიმოხილვა:**

აკადემიის სამეთაურო საშტაბო კოლეჯის სამეთაურო საშტაბო პროგრამა, საქართველოს თავდაცვის ძალების ყველა გვარეობისთვის წარმოადგენს შუალედური სამხედრო განათლების საფეხურს, რომელიც უზრუნველყოფს ტაქტიკურ-ოპერატიულ დონეზე ოფიცრების (მაიორი, ვიცე-პოლკოვნიკი) მომზადებას, რომლებსაც შეეძლება თხელმძღვანელონ ბატალიონს (ბრიგადას) და იმსახურონ ტაქტიკურ და ოპერატიული დონის შტაბებში შესაბამის თანამდებობებზე. პროგრამის დამთავრების შემდეგ ეძლევათ შესაბამისი სამხედრო განათლების დიპლომი;

**ბ) სამეთაურო საშტაბო პროგრამის მიზანი** - საქართველოს თავდაცვის ძალებისათვის მოამზადოს უფროსი ოფიცრები, რომლებიც თავიანთი თეორიული და პრაქტიკული ცოდნით

მზად იქნებიან ქვეყნისა და საქართველოს თავდაცვის ძალების წინაშე არსებული გამოწვევების შესაბამისად დაგეგმონ და აღასრულონ ოპერაციები ნებისმიერ გარემოსა და პირობებში;

**გ) სამეთაურო საშტაბო პროგრამაზე მიიღებიან** - სამხედრო მოსამსახურეები მაიორის, ვიცე-პოლკოვნიკის სამხედრო წოდებით, რომლებსაც გავლილი აქვთ ოფიცერთა ძირითადი სამხედრო განათლების (ტაქტიკური დონე) II საფეხური, კაპიტნის საკარიერო პროგრამა.

**შენიშვნა:** პროგრამაზე ჩარიცხვის დამატებითი მოთხოვნები და პირობები რეგულირდება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

*ბრძანება N MOD 4 19 00000352 06.06.2019 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;*

## **მუხლი 10. ოფიცერთა უმაღლესი სამხედრო განათლება (სტრატეგიული დონე)**

### **თავდაცვის უმაღლესი პროგრამა**

**ა) თავდაცვის უმაღლესი პროგრამის ზოგადი მიმოხილვა:**

განათლების საფეხური, რომელიც უზრუნველყოფს ოფიცრებისთვის (ვიცე-პოლკოვნიკი, პოლკოვნიკი) და სამოქალაქო პირებისათვის სტრატეგიული დონის განათლების მიღებას, რათა შეძლონ იმსახურონ სამინისტროს სისტემაში სხვადასხვა მენეჯერულ თანამდებობებზე. სწავლის დასრულების შემდეგ ეძლევათ შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დიპლომი;

**ბ) თავდაცვის უმაღლესი პროგრამა მიზანი** - მოამზადოს ოფიცრები და სამოქალაქო პირები სახელმწიფო უსაფრთხოების და თავდაცვის მართვის საკითხებში სტრატეგიულ დონეზე;

**გ) თავდაცვის უმაღლესი პროგრამაზე მიიღებიან** - საქართველოს თავდაცვის ძალების ვიცე-პოლკოვნიკები, პოლკოვნიკები და ბრიგადის გენერლები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ ოფიცერთა შუალედური სამხედრო განათლების პროგრამა, სამეთაურო საშტაბო კურსი ან მასთან გათანაბრებული საგანმანათლებლო პროგრამა.

**შენიშვნა:** პროგრამაზე ჩარიცხვის დამატებითი მოთხოვნები და პირობები რეგულირდება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

*ბრძანება N MOD 4 19 00000352 06.06.2019 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;*

## **მუხლი 11. ოფიცრების საზღვარგარეთ განათლება**

საქართველოს თავდაცვის ძალების ოფიცრები, მომზადებისა და გადამზადების მიზნით შეიძლება გაიგზავნონ პარტნიორ ქვეყნებში არსებულ სასწავლო დაწესებულებებში, ამ კონცეფციის მე-6 მუხლით განსაზღვრულ, ოფიცერთა სამხედრო განათლების შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომელთა თავსებადობის განსაზღვრა განხორციელდება დადგენილი წესით.

*ბრძანება N MOD 4 19 00000352 06.06.2019 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;*

## **მუხლი 12. უმაღლესი აკადემიური განათლების ინტეგრირება ოფიცერთა სამხედრო განათლების სისტემაში**

ოფიცერთა სამხედრო განათლების სისტემაში ინტეგრირებულია უმაღლესი აკადემიური განათლების პირველი და მეორე საფეხური.

ა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, სადაც ინტეგრირებულია ოფიცერთა საწყისი სამხედრო განათლების საფეხური.

ბ) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ოფიცერთა შუალედური სამხედრო განათლების საფეხურის (სამეთაურო - სამტაბო კურსი) პარალელურად.

### **მუხლი 13. დიპლომირება**

სამხედრო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და სამხედრო საგანმანათლებლო ერთეულებში შესაბამისი სასწავლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ იუნკერებს/მსმენელებს ეძლევათ დიპლომი და სამკერდე ნიშანი. დიპლომის ფორმა და შინაარსი განისაზღვრება კანონმდებლობით დადგენილი წესით.